ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 306

"30" ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს ,,ისანი თაუერსის" (ს/ნ. 404614681) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 (ს/კ. №01.17.13.038.024) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 28 ივნისის №23.963.1068 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ისანი თაუერსის" (ს/ნ. 404614681) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებების (2021 წლის 9 თებერვლის განკარგულება №49) და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების (2022 წლის 16 ივლისის განკარგულება №344) ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 - არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ.№01.17.13.038.024) მიმართებაში, ქვემოთ ჩამოთვლილი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებით:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) - 14.28 გადანაწილება „გასაშუალოებული" კოეფიციენტის სახით მომიჯნავე მიწის ნაკვეთების (ს/კ. №01.17.13.038.042, №01.17.13.038.041; №01.17.13.038.040 №01.17.13.038.049, №01.17.13.038.047, №01.17.13.038.048, №01.17.13.038.057) გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე და განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 5.772-ით, მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 - არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. 01.17.13.038.024) გადატანის

შედეგად ნამატი სამშენებლო მოცულობის - 5859 კვ.მ.-ის გათვალისწინებით. ამასთანავე, მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №69 - არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.№01.17.13.038.024) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2), ასევე, განისაზღვროს 5.772-ით;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებები (2021 წლის 9 თებერვლის განკარგულება №49) და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებები (2022 წლის 16 ივლისის განკარგულება №344) დარჩეს უცვლელი. ამასთან, აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები გავრცელდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ მიწის ნაკვეთიდან - ს/კ. №01.17.13.038.024 გადანაწილებული/გადატანილი სამშენებლო მოცულობის ფარგლებში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე